ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი

პროფესორი ნინო გოგოხია
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასისტენტ-პროფესორი ლელი შანიძე

თსსუ-ის ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი საწყისს იღებს „ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის“ კლინიკო-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრიდან, რომელმაც დაიწყო ფუნქციონირება 1935 წლიდან, ხოლო 1941 წლიდან ინსტიტუტს ეწოდა „თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი“. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკო-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრა, ინსტიტუტის სხვა კათედრების მსგავსად, ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ამზადებდა კადრებს საკვალიფიკაციო კურსების 4-თვიანი პროგრამით ლაბორატორიული დიაგნოსტიკის სხვადასხვა მიმართულებით: ჰემატოლოგია, ბიოქიმია, იმუნოლოგია, პარაზიტოლოგია და ა.შ. 90-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ინსტიტუტი საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა, 1993 წლიდან მიენიჭა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი და ეწოდა „ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემია“. მისი კათედრები, მათ შორის კლინიკო-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრაც, იწყებს ფუნქციონირებას საქართველოს მასშტაბით – ამზადებს ექიმებს კლინიკური ლაბორატორიებისათვის სხვადასხვა პროგრამებით და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხელმძღვანელობს ლაბორატორიულ საქმიანობას გასვლითი პროგრა-მებისა და ტრენინგების ფორმით.

2006 წლიდან განხორციელდა აკადემიის ინტეგრაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან „დიპლომისშემდგომი განათლების და უწყვეტი პროფე-სიული განვითარების ინსტიტუტის“ სახით. ცვლილებები შეეხო კათედრასაც, მას ეწოდა „ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი“ და ამ დროიდან, გარდა დიპლომის-შემდგომი სწავლებისა, კათედრამ – დეპარტამენტმა შეიძინა დიპლომამდელი სწავლების ფუნქციაც ლაბორატორიულ მედიცინაში.
კათედრის გამგეები იყვნენ პროფესორები: ნიკოლოზ კამალოვი, ავთანდილ მაჭავარიანი, ქეთევან გარსიაშვილი, თინათინ ბუკია.

2017 წლიდან დღემდე დეპარტამენტს ხელმძღვანელობს ყოფილი კლინიკო-ლაბორატო- რიული დიაგნოსტიკის კათედრის დოცენტი, ექიმი, მედიცინის დოქტორი, საქართველოს ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მართვისა და განვითარების ასოცი- აციის გენერალური მდივანი, საქართველოს ლაბორატორიული მედიცინის საზოგა- დოების გამგეობის თავმჯდომარე, ექსპერტი ლაბორატორიული საქმის დარგში (წარ- დგენილი თსსუ-დან და დარგობრივი ასოციაციებიდან), პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო გოგოხია.

ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი

სადღეისოდ ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი განთავსებულია პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ლაბორატორიის ბაზაზე, სადაც სწავლების პროცესის პარალელურად მიმდინარეობს კლინიკური საქმიანობაც, ვინაიდან ლაბორატორია ემსახურება მულტიპროფილურ კლინიკას, მუშაობს სხვადასხვა ტიპის კვლევებზე, ჩართულია საერთაშორისო პროგრამულ კვლევებში, ასევე ასრულებს დოქტორანტთა კვლევების გარკვეულ ნაწილს, მონაწილეობს სხვადასხვა დარგობრივ-პროფესიული ასოციაციის საქმიანობაში და ურთიერთობა აქვს საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებთან.
უნივერსიტეტთან ინტეგრაციის შემდეგ დეპარტამენტი ახორციელებს როგორც დიპლომამდელ, ასევე დიპლომისშემდგომ პედაგოგიურ პროცესს ლაბორატორიული მედიცინის სხვადასხვა სფეროში. სწავლების პროცესი მიმდინარეობს პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მაღალტექნოლოგიურ ლაბორატორიაში, სადაც ლაბორატორიული მედიცინის თეორიულ საფუძვლებთან ერთად სტუდენტებსა და რეზიდენტებს საშუალება აქვთ დაესწრონ პრაქტიკული მუშაობის პროცესს, გაერკვნენ თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებით წარმოებული კვლევების შესაძლებლობებსა და დიაგნოსტიკაში, ეზიარონ, მონაწილეობა მიიღონ თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური აპარატურით წარმოებულ კვლევებში. აღსანიშნავია, რომ დიპლომამდელი სასწავლო პროცესი მიმდინარეობს როგორც ქართულ, ასევე უცხოენოვანი პროგრამის ფარგლებში.

პედაგოგიური პერსონალი: თსსუ-ის ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტის სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობს პროფესორი ნინო გოგოხია, სასწავლო პროცესში ასევე მონაწილეობას ღებულობენ მოწვეული პედაგოგები: ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ციური ერაძე, დეპარტამენტის ლაბორანტი, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის უფროსი ექიმი ხატია მიქაბერიძე, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმი-ლაბორანტი ლელა ზივზივაძე.

1990-2000 წწ. — კლინიკო-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრა

ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი

2017-2019 წწ. 2020-2021 წწ.
თსსუ დეპარტამენტის უცხოენოვანი სტუდენტები პედაგოგებთან

2015-2019 წწ. 2020-2021 წწ.
თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ლაბორატორია

2019 წ. თსსუ-ის ლაბორატორიული საქმის დეპარტმენტის ეგიდით ჩატარებული კონფერენცია.

ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი



რეიტინგული ჟურნალის ბორდის წევრობა